Рис. 4. Осциллограмма импульса мощности излучения из структур фосфида галлия. Частота следования электрических импульсов 10 кГц , длительность импульса $1 \cdot 10^{-7} \text{ с}$




Рис. 5. Осциллограмма импульса мощности кристалла, изготовленного из фосфида галлия. Частота следования электрических импульсов 10 кГц , длительность импульса $2 \cdot 10^{-7} \text{ с}$

Осциллограммы для кристаллов из структур фосфида галлия приведены на рис. 4, 5. Как видно из рисунков, время нарастания импульсов мощности излучения может быть оценено как $75\text{-}100 \text{ нс}$. Именно поэтому при длительности импульса $\tau = 100 \text{ нс}$ происходило “искажение” прямоугольного импульса.

Таким образом, кристаллы с никелевыми контактами имеют высокие светотехнические характеристики.

Грузинский технический университет

Поступило 11.11.2003

ე. ბრძეღიშვილი, ვ. ავსაყავა

გამოსხივების სპექტრის გამოკვლევა ნიკელის კონტაქტებიან კრისტალებზე დამზადებული $A^{III}B^V$ სახის ნახევარგამტარების ბაზაზე

რეზიუმე

ქიმიური რეაგენტების მიმართ მაღალი მდგრადობით და კარგი შედეგების უნარით ელექტროსადენებისადმი შერჩეული იქნა ელექტროქიმიურად დაფენილი ნიკელის კონტაქტები $A^{III}B^V$ სახის მყარი ხსნარების ზედაპირებისათვის.

კვლევა წარმოებდა $0,4 \times 0,4 \text{ მმ}^2$ ზომის CaP სახის კრისტალებზე. შესწავლილი იქნა მათი ტიპური გამოსხივების სპექტრი $0,5$ -დან მაქსიმალურ გამოსხივების ინტერვალამდე და ტოლია $533 \div 541 \text{ ნმ}$. ხოლო განივი გამოსხივების სპექტრი ტოლია $\sim 32 \div 33 \text{ ნმ}$; ნახევარგანიური გაბმება მიმართული გამოსხივების 12°C შეადგენს. 20 -მა პირდაპირი დენის ძალის დროს გამოსხივების სიმძლავრე $525\text{-}540 \text{ ნმ}$ ტალღის დიაპაზონში $P_{525,540} = 0,3\text{P}$ და იმპულსირების დროს გაზრდა გამოსხივების სიმძლავრეზე, რომელიც შეიძლება შეფასდეს როგორც $75\text{-}100 \text{ ნმ}$.

STUDY OF THE RADIATION SPECTRUM OF NICKEL CONTACT-CONTAINING CRYSTALS BASED ON A^{III}B^V SEMICONDUCTORS

Summary

Nickel contacts formed by electrochemical deposition have been chosen for A^{III}B^V solid solution surface. They are characterized by high resistance to chemical reagents and good welding properties.

The research was performed on 0,4x0,4 mm² GaP type crystals. Their typical radiation spectrum from 0,5 to the maximum radiation interval was studied and found to be as high as 533-541 nm. The transverse radiation spectrum was ~32-33 nm; semitransverse dispersion accounts for 12% of the direct radiation.

ლიტერატურა - ЛИТЕРАТУРА - REFERENCES

1. Вишенков С. А. Химические и электрохимические способы осаждения металлопокрытий. М.: Машиностроение, 1975, с. 185.
2. საპატენტო სიგელი № 762. ნ. კეკელიძე, ე. გრძელიშვილი. და A^{III}B^V სახის ნახევარგამტარებზე ოპტიკური კონტაქტების შექმნის ხერხი. სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენი № 3 (12), 02.07.97.
3. საპატენტო სიგელი № 1140. ნ. კეკელიძე, რ. ჯარმაკაძე, ზ. ტყემელაშვილი, ე. გრძელიშვილი და სხვ. შუქგამომსხივარი ხელსაწყო. სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენი № 11 (22), 15.07.97.
4. Справочник по электрохимии под ред. А.М. Сухотина. Л.: Химия, 1981, с. 488.
5. Берг А., Дин И. Светодиоды. М.: Мир, 1979, с. 218.

მ. შურვანიძე, ლ. მუხრანელი, ლ. მანთურიშვილი, ი. რიხიაშვილი

საკოლმეტროო ჩამონადენი წყლების შეფასება მათი მეორადი გამოყენების შესაძლებლობის დასადგენად

ცნობილია, რომ საქართველოს რიგი რეგიონები განიცდიან სარწყავი წყლის მწვავე დეფიციტს. შესაბამისად დღეს უაღრესად საპასუხისმგებლოა და მნიშვნელოვანია საქართველოს სარწყავი მიწათმოქმედების ზონაში წყლის რესურსების კომპლექსური და მაღალეფექტური გამოყენების საკითხების შესწავლა. იმ ტრადიციულ პრობლემებს, რომლებიც იღგა საქართველოს წყალთა მეურნეობის წინაშე და განვირობებულ იყო დარგის განვითარების ობიექტური კანონზომიერებებით, ბოლო ხანებში დაემატა პრობლემები, გამოწვეული, ერთის მხრივ, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული ქვეყანაში შექმნილი საერთო სიტუაციით და, მეორეს მხრივ, მოლიანად საქართველოს ეკონომიკისა და კონკრეტულად წყალთა მეურნეობის, როგორც ამ ეკონომიკის ერთ-ერთი ორგანულად შემაღგენელი ნაწილის საბაზრო ურთიერთობების პრინციპებზე გადაყენის აუცილებლობით.

ცხადია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის გადაყენა მსხვილფეხოვან-ლოებრივი, საბიუჯეტო მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ნაცვლად ძირითადად წერილ ფერმერულ მეურნეობებზე, გარდაუვალად მოითხოვს წყალთა მეურნეობის მთელი რიგი საკითხების ახლებურად გააზრებას და ამ მიმართულებით სპეციალური სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარებას. სწორედ ამ მდგომარეობით არის ნაკარნახევი წარმოდგენილი ნაშრომით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს ფარგლებში საკოლმეტროო-სადრენაჟო ჩამონადენი წყლების მორწყვისათვის განმეორებით გამოყენების შესაძლებლობის საკითხის ჩართვა.

ცნობილია, რომ საქართველოს ტერიტორია, მთლიანობაში საკმაოდ მდიდარია წყლის რესურსებით, მაგრამ ეს რესურსები არათანაბრად და სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის არახელსაყრელადაა განაწილებული საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ რეგიონებს შორის. ზედაპირული ჩამონადენისა და ატმოსფერული ნალექების სიჭარბე დასავლეთ საქართველოში და ნაკლებობა აღმოსავლეთ საქართველოში, მამინ როცა მოთხოვნილება წყალზე პირიქით, მნიშვნელოვანდ მეტია აღმოსავლეთ საქართველოში დასავლეთ საქართველოსთან შედარებით, ქმნის მთელ რიგ მნიშვნელოვან პრობლემებს, წყლის როგორც ბუნებრივი რესურსის რაციონალური გამოყენების თვალსაზრისით. ეს პრობლემები განსაკუთრებით მკვეთრად არის გამოხატული აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც განიცდის სარწყავი წყლის რესურსების მწვავე ნაკლებობას. კრძალად აღმოსავლეთ საქართველოს რიგ სხვა რეგიონებთან ერთად, ბუნებრივი ტენის მწვავე ნაკლებობას განიცდის მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირზე განთავსებული დამლაშებულ-მელიორირებული ფართობები.

მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირის ტერიტორია, რომლის საერთო ფართობი 54 ათასი ჰა-ს შეადგენს, სარწყავ წყალს იღებს ქვემო ალაზნის მაგისტრალური არხის მეშვეობით. აღნიშნული ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი სარწყავ ქსელთან ერთად სადრენაჟო-საკოლმეტროო ქსელითაც არის აღჭურვილი. ამ უკა-



ნასკენლის ფუნქციას კი ძირითადად ზედმეტი ინფილტრაციული და გრუნტის წყლების სასოფლო-სამეურნეო ფართობებიდან გაყვანა წარმოადგენს. საკოლექტორო ტორა ქსელის ჩამონადენი წყლების მთელი რაოდენობა ტრანზიტის გზით ისე მდინარე ალაზანში ვარდება. ამ საკოლექტორო ჩამონადენი წყლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესწავლა, მისი მორწყვისა და წყალმომარაგებისათვის შემდგომი გამოყენების შესაძლებლობის საკითხის გასარკვევად დღემდე არ ჩატარებულა. აღსანიშნავია, რომ 70-იანი წლებიდან დაიწყო მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირის ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში საშუალოდ და ძლიერ დამლაშებული ფართობების ინტენსიური ათვისება. დღეისათვის ამ დამლაშებული ფართობებიდან მელიორირებული და სოფლის მეურნეობისათვის გამოყენებულია 17 ათასი ჰა.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირის მელიორირებულ ფართობებზე სადრენაჟო ჩამონადენის მოდულის საშუალო მნიშვნელობა იცვლება 0,021 – 0,110 ლ/წმ ჰა-დან ფარგლებში. თუ მხედველობაში მივიღებთ ამ მონაცემებს, მათზე დაყრდნობით შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ალაზნის მარჯვენა ნაპირის დრენირებული ფართობების საკოლექტორო-სადრენაჟო ჩამონადენის ჯამური ხარჯი შეადგენს 95000 – 510000 მ³/დღეღამეში ანუ 1,1 – 5,9 მ³/წმ [1].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირზე განთავსებული ფართობების სადრენაჟო-საკოლექტორო ჩამონადენი საკმაოდ მნიშვნელოვან სიდიდეს შეადგენს. აქედან გამომდინარე მის რაოდენობრივ და თვისობრივ მაჩვენებლების შესწავლას, იმ მიზნით, რომ მისი ნაწილი მაინც გამოვიყენოთ სარწყავად მცირე ფართობის მქონე ფერმერულ მეურნეობებში, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

წინასწარი კვლევების საფუძველზე ჩვენს მიერ გამოყოფილი იქნა 24 სატრანზიტო კოლექტორი, საკოლექტორო ჩამონადენის სიდიდესა და მინერალიზაციის ხარისხზე დაკვირვებათა საწარმოებლად.

ცხრილში 1 წარმოდგენილი მონაცემები ახასიათებენ სადრენაჟო-საკოლექტორო ჩამონადენის საერთო მინერალიზაციის ხარისხს, მინერალიზაციის ტიპს და ჩამონადენი წყლის ხარჯს.

როგორც ზემოდ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს და როგორც ეს მოსალოდნელი იყო, საკოლექტორო ჩამონადენი წყლების მინერალიზაციის სიდიდე საკმაოდ დიდ დიაპაზონში ცვალებადობს, იცვლება რა მტკნარიდან ძლიერ მინერალიზებულიამდე, ძირითადად 0,42 – 21,4 გ/ლ-ის ფარგლებში.

რაც შეეხება უშუალოდ საკოლექტორო ჩამონადენს, მდინარის აღნიშნულ მონაკვეთში გვხვდება სხვადასხვა ტიპისა და მინერალიზაციის საკოლექტორო ჩამონადენი. სოფ. ვაჭირის კოლექტორის ჩათვლით საკოლექტორო ჩამონადენის მინერალიზაცია ჰიდროკარბონატული და ჰიდროკარბონატულ სულფატურია, კალციუმისა და კალციუმ-ნატრიუმის მინერალიზაციის საკმაოდ სტაბილური მაჩვენებლით 0,42 – 0,960 გრ/ლ-ში (იხილეთ ცხრილი 1, რიგითი ნომრით 1-დან 9-ის ჩათვლით და კოლექტორი №40).

თუ მინერალიზაციის ხარისხს, ტიპისა და აგრეთვე კათიონური შემადგენლობის მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს წყლები, როგორც მორწყვის, ისე წყალმომარაგებისათვის შეიძლება ვარგისად ჩაითვალოს. აღნიშნული საკოლექტორო ჩამონადენი წყლების ჯამური ხარჯი ტოლია 364 ლ/წმ-ის.

მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირის საკოლექტორო ჩამონადენის ძირითადი მაჩვენებლები

№	კოლექტორის დასახელება და ადგილმდებარეობა	მშრალი ნაშთი (მინერალიზაცია) გ/ლ-ში	ჩამ-ბაღ-ვის ხაზ/თ-ლქმ	მინერალიზაციის ტიპი		pH
				ანი მიხედვით	კაიონების მიხედვით	
1	სოფ. ვალაყრა დარბაზი №9	0,496	1,75	კ	მ	7,6
2	სოფ. შახისი დარბაზი	0,500	6,00	კ	მ	7,2
3	ს.ფ. ვახუშტისი კოლექტორი	0,476	11,00	კ	კ-ნ	8,0
4	ს.ფ. ვახუშტისი კოლ. №52	0,488	5,00	კ-ს	კ-ნ	8,0
5	სოფ. ხულოცი და კოლ. №11	0,420	15,00	კ-ს	კ-ნ	8,0
6	სოფ. ვეგნი დარბაზი №33	0,672	18,00	კ-ს	კ-ნ	8,0
7	სოფ. კარდინახი და კოლ. №22	0,800	12,50	კ-ს	კ-ნ	7,4
8	სოფ. კარდინახი და კოლ. №33	0,710	50,00	კ-ს	კ-ნ	7,6
9	ს.ფ. ვაჭრა და კოლ. №25	0,553	95,0	კ-ს	კ-ნ	7,4
10	წმარის კომპლექსი კოლექტორი №1	1,820	27,50	ს-კ	ნ-კ	8,0
11	წმარის კომპლექსი კოლექტორი №2	1,644	105,00	ს-კ	ნ-კ	7,8
12	წმარის კომპლექსი კოლექტორი №3	10,508	30,00	ს-კ	მ-კ	7,6
13	წმარის კომპლექსი კოლექტორი №4	9,576	25,00	ს-კ	ნ	8,0
14	წმარის კომპლექსი კოლექტორი №5	17,41	28,00	ს-კ	ნ	7,2
15	წმარის კომპლექსი კოლექტორი №6	2,736	80,00	ს-კ	ნ	-
16	წმარის კომპლექსი კოლექტორი №7	10,104	18,00	კ-ს	ნ	7,9
17	წმარის კომპლექსი კოლექტორი №8	2,838	55,00	ს-კ	ნ-კ	7,4
18	წმარის კომპლექსი კოლექტორი №1	9,694	250,00	ს-კ	ნ	8,0
19	ლოკომპლექსი კოლექტორი №9	2,079	12,00	ს-კ	ნ	7,5
20	კოლექტორი ტბაბანი-ფეანის	7,603	25,00	ს-კ	ნ	8,0
21	კოლექტორი ტბაბანი-ფეანის-შახისი	4,835	28,00	კ-ს	ნ	7,6
22	კოლექტორი ვადაბი	21,447	13,00	ს-კ	ნ	6,6
23	კოლექტორი ხათიბული	19,855	8,00	კ-ს	ნ	7,0
24	და კოლექტორი №40	0,960	150	ს-ს	ნ	-

შენიშვნა: ცხრილში გამოყენებულია შემდეგი აღნიშვნები: კ – ჰიდროკარბონატული, კს – ჰიდროკარბონატულ-სულფატური, ს-კ – სულფატურ-ჰიდროკარბონატული, ს-ქ – სულფატურ-ქლორიდული, კ-ს – ქლორიდულ-სულფატური ს-სულფატური, კ – კალციუმიანი, ნ – ნატრიუმიანი

ცხრილ 2-ში მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებს განხილულ საკოლექტორო ჩამონადენ წყლებში მარილების საეარაუდო შემადგენლობას, მინერალიზაციის ხარისხისა და ტიპის მიხედვით გამოყოფილი კოლექტორებისათვის.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ გამოკვლეული წყლის სინჯებიდან არც ერთი არ შეიცავს სოდას, ხოლო სოდისა და გლაუბერის მარილის შემდგომ უფრო მეტე მარილების, ნატრიუმისა და მაგნიუმის ქლორიდების, ხვედრითი წილი შედარებით მცირეა, ვიდრე გლაუბერის მარილის – Na_2SO_4 , რომელიც მარილებს შორის შედარებით ნაკლებად ტოქსიკურია. აქედან გამომდინარე, რადგანაც საკოლექტორო-სადრენაეო ძლიერ მინერალიზირებულ ჩამონადენ წყლებში, მარილების ძირითადი შემცველობა Na_2SO_4 -ის ხარჯზე მოდის, ეს გვაძლევს საფუძველს ჩავთვალოთ ასეთი წყლები ნაკლებად აგრესიულად. აღნიშნული ჩამონადენი წყლები განზავების გარეშეც გამოსადეგია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსარწყავად [2].

სუსტად მინერალიზირებულ წყლებში, საერთო მინერალიზაციის მნიშვნელობისას 1,64-2,84 გრ/ლ-ის ფარგლებში, შენარჩუნებულია გლაუბერის მარილის სიჭარბის ასეთივე კანონზომიერება, რაც გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ეს წყლები

ბი ჩავთვალთ მორწყვისათვის გამოსადეგად, იმ მიწებისათვის, რომლებიც მუდმივად ნებრივად ან ხელოვნურადაა დრენირებული და აგრეთვე იმ ნიადაგებისათვის, რომელთაც გააჩნიათ ნორმალური წყალკონვალბა.

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
სამსახური
ტელეფონი 521 11 55
სტრ. 2

მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირის საკოლექტორო წყლებში მარილების საცარაულო შემცველობა

№	მინერალიზაციის ტიპი	საერთო მინერალიზაცია	მარილების საცარაულო შემცველობა							ტოტალური მარილების საცარაულო შემცველობა
			Ca(HCO ₃) ₂	CaSO ₄	NaHCO ₃	Na ₂ SO ₄	NaCl	MgCl ₂	MgSO ₄	
1	მდროკარბონატული-კალციუმის	0.436	0.518	0.111	-	0.022	-	0.035	0.014	0.072
2	მდროკარბონატული-სულფატური-კალციუმ-ნატრიუმის	0.412	0.394	0.024	-	0.020	-	0.045	0.007	0.072
3	სულფატურ-მდროკარბონატული-კალციუმისნატრიუმის	0.750	0.320	0.160	-	0.28	-	0.042	0.052	0.374
4	სულფატურ-მდროკარბონატულ-ნატრიუმის	1.925	0.321	0.174	-	1.40	-	0.89	0.130	1.619
5	ქლორიდულ-სულფატურ-ნატრიუმ-კალციუმის	2.139	0.532	0.356	-	1.04	0.587	0.206	-	1.803
6	სულფატურ-ქლორიდული-ნატრიუმის	6.00	0.382	0.585	-	2.856	1.28	0.558	-	4.644
7	სულფატურ-ქლორიდულ-ნატრიუმის	14.4	0.61	2.07	-	6.920	3.58	0.937	-	11.507

ამჟამად სარწყავად და სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების თვალსაზრისით წყლის ხარისხის შესაფასებლად რეკომენდირებულია, რომ მხედველობაში მივიღოთ ტუტე და ტუტემიწათა კათიონების შეფარდება.

ცნობილია, რომ მაღალი ხარისხის წყლებისადმი წაყენებული მოთხოვნით ძლიერ მინერალიზებულის გარდა ყველა ტიპის წყალი ვარგისია მორწყვისათვის. ამასთანავე კათიონების შემცველობის მიხედვით მთლიანი ჯამიდან, და ნატრიუმის პროცენტული შემცველობით ცხრილში დასახელებული შვიდი ტიპის წყლებიდან მხოლოდ ოთხი შეიძლება ჩაითვალოს ვარგისად. ნათქვამიდან გამომდინარე საჭიროა აღინიშნოს რომ წყლის ხარისხის შეფასების ყველა დასახელებული კრიტერიუმი ერთნაირ შეფასებას იძლევა, მაგრამ ვერ განსაზღვრავს წყლის ხარისხს. თუ №3 ცხრილში მოყვანილი მონაცემების მიხედვით ვიმჯღელებო, დავინახავთ რომ მხოლოდ სამი ტიპის მინერალიზაციის მტკნარი წყლები პასუხობს მთლიანად მაღალი ხარისხის წყლებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, 5-7 – ტიპის წყლები მინერალიზაციის ტიპის მიხედვით ხასიათდებიან როგორც დამაკმაყოფილებელი, ხოლო 4 ტიპის წყალი არა-დამაკმაყოფილებელი თვისებებით ხასიათდება [3].

ცხრილი №3-ის მონაცემების ანალიზის დასასრულს ავღნიშნავთ რომ წყლის ხარისხის შეფასების ყველა კრიტერიუმი ვერ გვაძლევს ჩამონადენი წყლების კლასიფიკაციების საშუალებას სარწყავი წყლის არსებული კლასების მიხედვით. კერ-



ძოდ სუსტად მინერალიზირებული ქლორიდულ-სულფატურ-ნატრიუმის ტიპის წყლები (№3 ცხრილის მიხედვით მე-5 ტიპი) სრულიად შესაძლებელია ვიყვნით, როგორც ეს ზევით იყო აღნიშნული, სტრუქტურული და კარგი წყალგამტარობის ნიადაგის მოსარწყავად და სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგებაში. მაშინ როცა ამ ტიპის წყალი, ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმის მიხედვით უფარგისად ითვლება.

ც ხ რ ი ლ ი 3

გამოსაცვლელი საცოლექტორო ჩამონადენი წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლები

№	მინერალიზაციის ტიპი და ხარისხი	კაიონების შეფარდება, მგ. ექვ/ლ			ნატრიუმის შემცველობა % კაიონების გამოდან
		Na/კაიონების გამოდან	Ca/კაიონების გამოდან	Na/Ca	
1	მტკნარი ჰ-კ	0,034	0,85	0,04	3,8
2	მტკნარი ჰ-ს, კ-ნ	0,31	0,57	0,54	35,5
3	მტკნარი ს-ჰ, კ-ნ	0,31	0,49	0,61	36,1
4	სუსტად მინერალიზებული ს-ქ, ნ	0,60	0,20	3,01	68,4
5	სუსტად მინერალიზებული ქ-ს, ნ	0,60	0,29	2,04	65,4
6	მინერალიზებული ქ-ს, ნ	0,72	0,15	4,91	52,1
7	ძლიერ მინერალიზებული ს-ქ.	0,74	0,17	4,36	79,0

ამრიგად, წყლის ხარისხის შეფასებისას აუცილებელია არსებული კრიტერიუმების გარდა, პირველ რიგში მხედველობაში მივიღოთ იონური აქტივობა, მარილთა საეარაუდო შემადგენლობა და ტოქსიკური მარილების რაოდენობა. აუცილებელია გავითვალისწინოთ მოსარწყავად ნიადაგის სრული ქიმიური შემადგენლობა, მისი პოტენციალური ნაყოფიერება და ნიადაგის მორწყვის პროცესში ნიადაგის შესაძლო ეკოლოგიური ცვლილებები.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წყალთა მეურნეობისა და საინჟინო ეკოლოგიის ინსტიტუტი

შემოსულია 09.02.2004

Ч. Г. МУРВАНИДЗЕ, Д. К. МЗАРЕУЛОВА,
Л. Д. ЧАНТУРИШВИЛИ, И. И. РЕХВИАШВИЛИ

УСТАНОВЛЕНИЕ ВОЗМОЖНОСТИ ПОВТОРНОГО ИСПОЛЬЗОВАНИЯ КОЛЛЕКТОРНЫХ ВОД

Резюме

Территория Грузии, хотя и богата водными ресурсами, однако ряд районов Восточной Грузии испытывает острый недостаток в поливной воде. В частности, это относится к правобережью Алазанской долины. Учитывая, что на данной территории имеется достаточное количество коллекторно-дренажных вод, была поставлена задача выяснения возможности их применения для повторного использования в качестве поливной воды.

С этой целью был изучен химический состав проб вод, взятых из этих коллекторов. В результате исследования коллекторных вод наряду с сильно минерализованными водами выявлены также и слабо минерализованные воды с общей минерализацией 1,64-2,84 г/л с преобладанием глауберовой соли. Сказанное дает полное основание использовать эти воды для полива сельскохозяйственных культур.

CH. MURVANIDZE, D. MZAREULOVA,
L. CHANTURISHVILI, I. REKHVIASHVILI

ON ESTABLISHING OF A POSSIBILITY OF REPEATED USE OF COLLECTOR WATERS

Summary

Though the territory of Georgia is rich in water resources, some regions of Eastern Georgia have serious deficiency of irrigation water. In particular it concern the right-bank of the Alazani valley. Taking into account that to find out on given territory there is a sufficient amount of drainage and collector water resource the task was set the possibilities for their usage in irrigation as renewable water resources.

For this purpose the chemical composition of water samples taken from the said collectors was studied.

In the process of the investigations besides strongly mineralized water weakly mineralized waters were discovered with general mineralization level of 1,6-2,84 gram/litre with predominance of glauber salt. This gives good grounds to use these waters for irrigation.

ლიტერატურა – ЛИТЕРАТУРА – REFERENCES

1. *В. Симонов, Ч. Мурванидзе.* Мелиорация засоленных земель Грузии. Тбилиси: Мецниереба, 1987, с. 103.
2. *ჭ. მურვანიძე, ი. რეხვიაშვილი.* ალაზნის ველის დამლაშებული ნიადაგების თანდათანობით გამტკნარების დინამიკა. წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო-ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემები. საიუბილეო სამეცნიერო შრომების კრებული, მიძღვნილი ინსტიტუტის დაარსების 70 წლისთავისადმი. საქ. წყალეკოლოგია, თბილისი, 1999, გვ. 103-106.
3. მელიორაციის მდგრადი განვითარების ღონისძიებების დამუშავება საქართველოს რესპუბლიკისთვის - სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს წლიური ანგარიში გრანტი № 18.9.02- საქ. მეცნიერებათა აკადემიის წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო-ეკოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2002, გვ. 33.

№3 678.5-416.539.4

ი. ბომბოიძე, მ. ბაჩიჩილაძე, უ. აბრამიანი, ზ. ლანჩავა

ცივი ზონით მიღებული პოლიეთილენის ფირის ფიზიკო-მექანიკური თვისებების და სტრუქტურის კვლევა

კლასიკური წარმოდგენები პოლიმერის მოლეკულის ჯაჭვიური აღნაგობის შესახებ დადასტურებულია ექსპერიმენტით, რომლის მიხედვით ითვლება, რომ პოლიმერის მაკრომოლეკულა ზომებით ანიზოტროპულია-სივრცე მრავალჯერ აქარბებს დიამეტრს. ეს განსაკუთრებულად გამოკვეთილად დამახასიათებელია ხაზოვანი აგებულების პოლიოლეფინებისათვის, რაც მათ მოქნილობას განაპირობებს მყარ მდგომარეობაშიც კი. ვინაიდან მაკრომოლეკულის შიგამოლეკულური ძალები აქარბებენ მოლეკულათა შორის ძალებს, ბუნებრივია პოლიმერის თვისებებში მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თუ როგორაა ფიქსირებული ნაკეთობაში პოლიმერების მაკრომოლეკულები. ამიტომ ხსნარის, ნაღნობის თუ ნაკეთობის ჭიმვისას გამინების ან კრისტალიზაციის შედეგად მიღებული მაკრომოლეკულების ორიენტირებული მდგომარეობა განაპირობებს პოლიმერის მექანიკურ, ოპტიკურ, ფიზიკურ და სხვა თვისებების ანიზოტროპულობას, რაც თავის მხრივ განპირობებულია სტრუქტურით.


ექსპერიმენტალურ მონაცემებზე დაყრდნობით, თეორიული მოდელების ანალიზი ორიენტაციული მოვლენების შესახებ პოლიმერების ხსნარებსა და ნაღნობებში დაწერილი მონაცემების მონოგრაფიაში [1], რომლის მიხედვით პოლიმერის ნაკეთობის ფიზიკო-მექანიკური თვისებები ძირითადად დამოკიდებულია ისეთ ტექნოლოგიურ პარამეტრებზე, როგორცაა: ნაღნობის ტემპერატურა, დინების სიჩქარე, გაგრილების ინტენსივობა, ხოლო ფირის წარმოების შემთხვევაში ნაღნობის გასწორი და განივი (გაბერვის) ჭიმვის ჯერადობა. ტექნოლოგიის დაზუსტების მიზნებიდან გამომდინარე ჩვენს მიერ ექსპერიმენტით [2] შესწავლილი იქნა პოლიეთილენის ფირის გაგლეჯზე მრღვევი ძაბვის σ და ფარდობითი წაგრძელების ϵ დამოკიდებულება ნაღნობის გასწორი ჭიმვის ჯერადობის კოეფიციენტისაგან k და გაბერვის ჯერადობის კოეფიციენტისაგან α . შედეგად ცხრილის სახით წარმოვს მთელი რეკომენდაცია სამრეწველო ექსტრუდერებზე მაღალი წნევის პოლიეთილენისაგან აწარმოონ ფიზიკო-მექანიკური თვისებებით მიზნობრივად, როგორც იზოტროპული ისე ანიზოტროპული ფირი.

ამ კვლევას წინ უსწრებდა ნაშრომი [3], რომლის მიხედვით დადგინდა იქნა, რომ სამრეწველო ექსტრუდერებზე მაღალი წნევის პოლიეთილენის ფირი ფიზიკო-მექანიკური თვისებებით მიიღება ანიზოტროპული. კვლევის შედეგად დადგინდა იქნა, რომ ცივი ჭიმვის შედეგად ფირის თვისებები შეიძლება ეცვალოს გარკვეული მიმართულებით. საჭიროების შემთხვევაში შევთარდა ანიზოტროპული გაგზადო და შედეგად სიმტკიცე მთელი რიგით გაზარდო, რაც საფუძვლს იძლევა პოლიეთილენის ფირი გამოყენებული იქნას ფიბრილული ბოჭკოს წარმოებისათვის. ეს უკანასკნელი კი გამოიყენება სხვადასხვა ფეხიერი ან გრანულირებული მასალების შეფუთვა-ტრანსპორტირებისათვის საჭირო ტარის საწარმოებლად.



ენიდან პოლიმერების მაკრომოლეკულები აღნაგობით მკვეთრად ანიზოტროპულნი არიან, მათი ზემოლეკულური სტრუქტურული წარმონაქმნების ფორმისა და ზომები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ფორმირების მეთოდსა და ტექნოლოგიურ რეჟიმზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ფირის ოპტიკური თვისებების ცვლა. კერძოდ შეიცვალოს ფირის მიერ სხივის გატარების ინტენსივობა. საგულისხმოა უკუპროცესიც - კერძოდ გატარებული სხივის ინტენსივობით კონტროლი გაუწიოთ ფირის წარმოების ტექნოლოგიას. შესაბამისად საინტერესოა გახდა დაგვედგინა თუ რა დამოკიდებულებაშია ფირის ოპტიკური თვისებები ფირის მიღებისას ნაღობის და მზა ფირის ცივი ჭიმვის ხარისხისაგან.

პოლიეთილენის ფირის მიღება და ნაღობის ჭიმვა იმავე პირობებში ხორციელდებოდა, როგორც ეს ნაჩვენებია ნაშრომში [2], ხოლო მზა ფირის ცივი ჭიმვა ნაშრომში [3]. სხვადასხვა პირობებში და ხარისხით დეფორმირებული პოლიეთილენის ფირის ოპტიკური თვისებების, კერძოდ სხივგამტარებლობის შესწავლას ეახდენთ ექსპერიმენტულ დანადგარზე, რომლის მოქმედების პრინციპი დამყარებულია ფირის თანაბარი ზომის წრიულ ნიმუშში ვარვარების ნათურიდან გამოსული სინათლის სხივის გატარების ინტენსიობის ცვლილებაზე, რომელიც ფიქსირდებოდა მიკროვოლტმეტრით.



ნახ. 1. 10802-020 მარკის პოლიეთილენის ფირის სხივგამტარებლობის დამოკიდებულება ნაღობის გასწვრივი ჭიმვის ჯერადობის კოეფიციენტებისაგან k (მრული 1) და ფირის ჭიმვის ფარდობითი წაგრძელებისაგან ε (მრული 2).

ნაღობის ჭიმვით მიღებული ნიმუშის მიერ გატარებული სხივის ინტენსიობის (პირობით ერთეულებში) დამოკიდებულება ნაღობის ჭიმვის ჯერადობის კოეფიციენტისაგან - k წარმოდგენილია ნახაზზე 1, მრუდის-1 სახით, ხოლო ფირის ცივი ჭიმვით მიღებული ნიმუშებისათვის ფარდობითი წაგრძელების ხარისხისაგან ε მრუდის-2 სახით.


როგორც გრაფიკიდან 1 ჩანს ნაღობის გასწვრივი ჭიმვის კოეფიციენტის გაზრდით ფირის გამჭვირვალობა თავდაპირველად მცირედ იზრდება, შემდგომ თითქმის არ იცვლება (მრული 1). ცივი ჭიმვით მიღებული ნიმუშების სხივგამტარებლობა იზრდება, სანამ ფარდობითი წაგრძელება გაიზრდება და 100-150%-ს მიაღწევს, შემდგომ კი თანდათან მცირდება (მრული 2).

სხივგამტარებლობის თავდაპირველი ზრდა ორივე შემთხვევაში, ლიტერატურაში არსებულ მასალების მიხედვით, გამოწვეულია გამჭოლი ძალების მოქმედებით არსებული სტრუქტურული წარმონაქმნების რღვევით და მათი შემდგომი გამართვით. ხოლო ცივი ჭიმვის ნიმუშების შემთხვევაში სხივის გატარების ინტენსიობის შემცირება გამოწვეული უნდა იყოს ძალურ ველში გამართული მაკრომოლეკულებზე ახალი სტრუქტურული წარმონაქმნების გაჩენით, ე. წ. გადაკრისტალებით.

აღნიშნულის დასამტკიცებლად ჩვენს მიერ სხვადასხვა ხარისხით დეფორმირებული ნიმუშების სტრუქტურა შესწავლილი იქნა EM-30 FILIPPS ტიპის ელექტრონულ მიკროსკოპზე პირდაპირი გადიდება 22000-ჯერ, ნიმუშები წინასწარ დამუშავებული (ამოკმული) იყო ლაზერული სხივით. სტრუქტურული კვლევის შედეგები წარმოდგენილია ფოტოსურათების სახით ნახაზზე 2.

როგორც მიკროსკოპული ფოტოსურათებიდან ჩანს ფირის ნიმუშის საწყისი სფეროლიტურული სტრუქტურა (ა) ძალურ ველში დეფორმირების პროცესში ირღვევა, მით უფრო რაც მეტია დეფორმაციის ხარისხი (ბ, გ, დ). დეფორმაციის ზრდით წარმოიქმნება წაგრძელებული სტრუქტურული წარმონაქმნები და მიმდინარეობს ე. წ. გადაკრისტალება. ნახაზზე 2 წარმოდგენილი მიკროსკოპული სურათი გვიჩვენებს, რომ როდესაც დეფორმაციის ხარისხი აღწევს მაქსიმუმს $\epsilon=500-600$ წარმოიქმნება ე. წ. "მწვადისებრი" სტრუქტურა, რომლის ძირითად ღეროზე ("მამფურზე") განლაგებულია გაჭიმული მაკრომოლეკულები, რომლებიც ფიბრილებს ქმნიან, ხოლო მასზე წამოკმულია ერთმანეთის მიმართ განსხვავებული კუთხით, მაგრამ გარკვეული კანონზომიერებით განლაგებული კრისტალიტები. ანალოგიური წარმოდგენები ცენტრალურ ფიბრილზე და გვერდითი სტრუქტურა წარმონაქმნებზე აღრეულ ნაშრომებშიც [1, 4] იყო ნაჩვენები.

ფირის წარმოდგენილი სტრუქტურების ანალიზი საშუალებას გვაძლევს ავღნიშნოთ, რომ პოლიეთილენის ფირი უმეტესად შედგება კრისტალური წარმონაქმნების და მათ შორის გამავალი მაკრომოლეკულებისაგან, რომლებიც წარმოქმნიან ამორფულ უბნებს. ნიმუშის რღვევა სწორედ ამ უბნებში იწყება. როგორც ნახაზიდან 2(დ) ჩანს ძალური ველის გავლენით კრისტალური სტრუქტურული წარმონაქმნები განლაგდებიან ველის გასწვრივ, ხოლო მათ შორის ამორფული უბნები, რომლებიც წარმოადგენენ სტრუქტურის დეფექტურ ნაწილს, მათგან იწყება სტრუქტურის რღვევა. მაგრამ იგი შეიძლება გამოყენებული იქნას მიზნობრივად-ფირის დასაყოფად ფიბ-



ნახ. 2. პოლიეთილენის ფირის საწყისი - ა და დეფორმირებული ნიმუშები: ბ - $\epsilon=100-150\%$; გ - $\epsilon=250-300\%$; დ - $\epsilon=500-600\%$



რილურ ნაწილებად. შემდგომ მისგან ბოქკოს საწარმოებლად, რისთვისაც საჭირო იქნება ახალი ტექნიკური გადაწყვეტილების განხორციელება.

ამრიგად, წარმოდგენილი კვლევის შედეგად შეიძლება დაეასკენათ, რომ წარმოების პროცესში პოლიეთილენის ფირი შეიძლება მიღებული იქნას როგორც იზოტროპული, ისე ანიზოტროპული ფიზიკო-მექანიკური თვისებებით. ფირის შემდგომი დამუშავება-ცივი ჭიმვა საშუალებას იძლევა მიღებული იქნას ე. წ. ფიბრილური ფირი მკვეთრად გამოხატული ანიზოტროპული ფიზიკო-მექანიკური თვისებებით და სტრუქტურით. იგი დასტურდება ნიმუშების მიერ სხივამეტარებლობის უნარის და ზემოლექულური სტრუქტურის კვლევით ელექტრულ მიკროსკოპზე.

ჩატარებული კვლევა საშუალებას იძლევა რაციონალური ტექნიკური გადაწყვეტილებების და განხორციელების შედეგად სამრეწველო ექსტრუდერებზე მიღებული ფირი გამოყენებული იქნას ფიბრილური ბოქკოს წარმოებისათვის.

ქუთაისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი

შემოსულია 27.12.2003

И. Г. БОЧОИДЗЕ, М. В. ГАЧЕЧИЛАДЗЕ,
У. В. АМБРОЛАДЗЕ, З. В. ЛАНЧАВА

ИССЛЕДОВАНИЕ ФИЗИКО-МЕХАНИЧЕСКИХ СВОЙСТВ И СТРУКТУРЫ ПОЛИЭТИЛЕНОВОЙ ПЛЕНКИ, ПОЛУЧЕННОЙ ПРИ ХОЛОДНОЙ ВЫГЯЖКЕ

Р е з ю м е

Исследованием физико-механических свойств и структуры полиэтиленовой пленки при холодной вытяжке показано, что в процессе производства полиэтиленовую пленку можно получить как с изотропными, так и с анизотропными физико-механическими свойствами. Холодная вытяжка дает возможность получить фибрильную пленку, с четко выраженными анизотропными физико-механическими свойствами, светопропусканием образцов и исследованиями микроструктуры на электронном микроскопе.

Результаты исследования дают возможность при рациональном техническом решении из полиэтиленовой пленки получить фибрильную структуру для производства волокна.

**INVESTIGATION OF THE PHYSICO-MECHANICAL
PROPERTIES AND STRUCTURE OF A POLYETHYLENE FILM
OBTAINED BY COLD DRAWING**

Summary

The investigation of the physico-mechanical properties and structure of a polyethylene film during cold drawing showed that in the process of production a polyethylene film can be obtained both with isotropic and anisotropic physico-mechanical properties. Cold drawing makes it possible to produce fibrillated film with pronounced anisotropic physico-mechanical properties and structure. It is proved by the light-transmission ability of the sample and by investigation of supermolecular structure under the electron microscope.

The result of the investigation enable one to obtain a fibrillated structure from polyethylene film to produce fibres.

ლიტერატურა – ЛИТЕРАТУРА – REFERENCES

1. Малкин А. Я., Попкова С. П. Ориентационные явления в растворах и расплавах полимеров. М.: Химия, 1980.
2. ი. ბოჭოიძე, მ. გაჩეჩილაძე, ბ. ბუცხრიკიძე. ფორმირების ზოგიერთი პარამეტრების გავლენა პოლიმერის ფირის ფიზიკო-მექანიკური თვისებების იზოტროპულობაზე. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები 2004, 4, 454.
3. ი. ბოჭოიძე, მ. გაჩეჩილაძე, ბ. ბუცხრიკიძე. პოლიეთილენის ფირის ორიენტირების პრაქტიკული გამოყენების ასპექტები. ქუთაისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის III საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის შრომები. 2000, გვ. 219-220.
4. Mchugh A. J., Farrest E. H. J. Macromol. Sci., 1975, 13, V. G. p. 219.



შპს 678.617:678.05

(). ბოჭორიძე, ზ. ბანჩოსაძე, მ. ბანჩოსაძე

საქართველოს ბაზრის მოთხოვნილება თერმოკლასტებისა და დამზადებულ ნაკეთობებზე და მისი დაკმაყოფილების გზები

პოლიმერებისა და მათ საფუძველზე მიღებული პლასტმასების ნაკეთობებს შეიძლება მიეცეს ნებისმიერი ფორმა თანამედროვე დიზაინის მოთხოვნით. მათ შეიძლება მიენიჭოს, როგორც საერთო ისე ყოფაცხოვრების თუ ტექნიკისათვის საჭირო თვისებები, ბუნების ამა თუ იმ მოვლენისადმი შერჩევითად კი, მაგრამ განსაკუთრებულად, სხვა კლასიკურ მასალებთან შედარებით, მაინც მათი სიმსუბუქე ითვლება. აღნიშნულმა თვისებებმა განაპირობა პოლიმერების წარმოებისა და გადამუშავების არნახული ტემპები. მოცულობით ერთეულებში მათმა წარმოების დონემ გადაასწრო ერთად აღებული ყველა ლითონის წარმოების დონეს და წელიწადში $100 \cdot 10^6$ ტონა შეადგინა [1].

თერმოპლასტიკების წარმოებამ მნიშვნელოვნად გადააქარა რეაქტოპლასტიკების წარმოებას. მათი ამ გადასწრები ტემპით წარმოება აღნიშნული თვისებების გარდა განპირობებულია შემდეგი გარემოებით: სინთეზის და გადამუშავების პროცესში არ გამოიყოფა მანევი ნივთიერებები, თვითონ არაკონცერკოვებული არიან. მათგან დამზადებული საგნებით დასაშვებია კვების პროდუქტების შეფუთვა-ტრანსპორტირება, ხმარების შემდეგ გადამუშავებადია ხელმეორედ, რაც შესაძლებლობას იძლევა ეკოლოგიურად არ დააბინძუროს გარემო.

როგორც მოცულობით, ისე წონით ერთეულებში პოლიეთილენი ყველაზე დიდი როლდენობით იწარმოება. გასული საუკუნის 90-იან წლების დასაწყისისათვის შალაი წნევის პოლიეთილენი საბჭოთა კავშირში 940 ათასი ტონა იწარმოებოდა, მათგან 15-18 ათასი ტონა საქართველოში გადამუშავდებოდა, აქედან 12-15 მხოლოდ ზონის პოლიმერკონტეინერის ქარხანაში, სადაც თანამედროვე ტექნოლოგიით მზადდებოდა და მიეწოდებოდა საბჭოთა კავშირის მთელ რიგ საწარმოებს სარქველიანი კონტეინერებით მინერალური სასუქების შეფუთვა-ტრანსპორტირებისათვის, ნაქსოვი-საფეხიანი კონტეინერები მაქრის და სხვა ფხვიერი მასალების შეფუთვა-ტრანსპორტირებისათვის. სასათბურე მეურნეობის და საერთო დანიშნულების ფირი, საღრეხაე და სარწყავი ძილები კავკასიის მთელ რეგიონს.

პოლიოლეფინების და კერძოდ პოლიეთილენის წარმოების ზრდის და მათზე ბაზრის მოთხოვნილების დინამიკის ანალიზმა ბოლო 50 წლის მიხედვით გვიჩვენა, რომ მართალია წარმოება აბსოლუტურ ერთეულებში იზრდება, მაგრამ არათანაბრად პერიოდების მიხედვით. ბაზრის მოთხოვნილება კი განუწყვეტლივ იზრდება. პერსპექტივაში ბაზრის გაჯერებასთან ერთად მცირდება ამ მასალაზე ბაზრის მოთხოვნილების ტემპი, მაგრამ მოთხოვნილების აბსოლუტური ზრდა პოლიოლეფინებზე და კერძოდ პოლიეთილენზე უახლოეს მომავალში მაინც შენარჩუნდება. გამოქვეყნებული მონაცემების [1, 2] მიხედვით მოთხოვნასა და წარმოებას შორის წონასწორობის დამყარებისათვის აუცილებელია წარმოება ორჯერ გაიზარდოს, რაც შეუძლებელია გან-



ხორციელდეს როგორც მსოფლიოს, ისე ერთი ქვეყნის მასშტაბით. გამოდის, რომ პოლიმერები დეფიციტურია და ყველა ქვეყანამ უნდა ეძიოს ამ დეფიციტის დაკმაყოფილება და წაწილობრივი შემცირების გზები.

ცნობილმა მოვლენებმა, რასაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა მოჰყვა. შემდგომში კი გეგმიური მუხრანობის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, გამოიწვია წარმოების გეგმიური მომარაგება-გასაღების მოშლა. პოლიმერების გადამამუშავებელი საწარმოების ხაწილი გაიძარცვა და გაიყიდა ხელოვანი აუქციონით. შესაბამისად მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყდა ამა თუ იმ პროდუქციის წარმოება, მიზნობრივად კი დარჩა. მაგალითად, სოფელში კერძო მუხრანობის მოწყობის შესაძლებლობამ განარდა მოთხოვნილება სასაბურთო ფირმა, დრენაჟისა და მორწყვისთვის საჭირო მილზე. ამუშავდა რუსთავეის სასუქების ქარხანა, რუსთავეცემენტის და აგარის შაქრის ქარხანა, რომლებსაც დიდი რაოდენობით ესაჯიროებთ სარქველიანი თუ ნაქოსვანდენიანი კონტინერები. აღნიშნული პროდუქციის შესაფუთი ტარა-მასალა იმპორტით შემოიტანება.

ნათელი გახდა, რომ საბაზრო ეკონომიკა არ ნიშნავს რაიმე პროდუქციის წარმოების დაწყება-შეწყვეტას სტრუქტურად, ქაოსურად, არამედ მოქმედებს პრინციპით «დაგეგმე-შეასრულე-შეამოწმე-შეისწავლე-შეასწორე», «ზუსტად დროზე» და კონცეფციულა «აუმჯობესე ყოველდღე» [3]. საბედნიეროდ, კერძო მფლობელობაში თუ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ საწარმოებში ჯერ კიდევ შემორჩენილია დამზადების და მონაწილეობის რაოდენობა, რომლებზედაც შეიძლება ვაწარმოოთ ზემოთ აღნიშნული თუ სხვა სახის პროდუქცია და საჭირო არ გახდეს მათი იმპორტით შემოტანა.

როგორც ყველა სახის მასალაზე, ასევე პოლიმერებზეც მზარდი მოთხოვნილების დამაკმაყოფილებლის რაოდენობაზე გზა არსებობს, მათგან ძირითადია ახალი საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედება, მეორე გზად მიჩნეულია არსებულის გადართობა და ინტენსიფიკაცია. ორივე ეს დიდ კაპიტალდამანდებებს მოითხოვს, რისი საშუალებაც საქართველოს და საქართველოში არსებულ კერძო სტრუქტურებს არ აქვთ და არც უახლოეს პერიოდში ექნებათ, თანაც პოლიმერები დიდი რაოდენობით იწარმოება და გადამამუშავდება მსოფლიოს იმ განვითარებულ ქვეყნებში, რომლებსაც მოუხვედრებათ ნავთობი და გაზი, ან მათი იმპორტირების ეკონომიკური შესაძლებლობა აქვს, რაც ჩვენთვის მომავლის პერსპექტივა შეიძლება იყოს. შესაძებ გზა წარმოების პროცესში ან უკვე წარმოებული ნაყოფისათვის ისეთი თვისებების მინიჭებაში მდგომარეობს, რომლითაც გაიზრდება პოლიმერის ან მისგან დამზადებული ნაყოფის ხარისხი, განსაკუთრებით კი ფიზიკო-მექანიკური მახასიათებლები. მეორე გზა მდგომარეობს წარმოების ნარჩენების და ხმარებაში ყოფილი პოლიმერებისაგან დამზადებული საგნების ხელმეორედ გადამამუშავებაში. ბოლო ორი გზა საქართველოს ბაზრის მოთხოვნილების ნაწილობრივ დამაკმაყოფილებს. მაგრამ დღევანდელი შესაძლებლობის მიხედვით მისაღები.

ჩვენი განგარნიშებით საქართველოში ყოველწლიურად იმპორტით ტარა-მასალის ან სასაქონლო პროდუქციის სახით შემოდის 3-5 ათასი ტონა ხელმეორედ გადამამუშავებადი პოლიმერი, იგი ხმარების შემდეგ მიმოიბნევა ქვეყნის ტერიტორიაზე და ეკოლოგიურად აბინძურებს მას. მაშინ როცა იგი იაფფასიან ნედლეულად შეიძლება იქცეს-გადამამუშავდეს და ამით ნაწილობრივ გადააწყდეს ქვეყნის ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემები. ასეთი ნარჩენების ნაწილობრივი გადამამუშავება თუ მაინც ხდება მას სტიქიური ხასიათი აქვს. სინამდვილეში კი საჭიროა გარკვეული თეორიული და პრაქტიკული კვლევების ჩატარება, რომელიც საფუძველი გახდება წარ-



მოცების ნარჩენების და ხმარებაში ყოფილი საგნების ხელშეკრულად გადაამუშავების მ. საღებები ტექნოლოგიების დასადგენად.

ბაზრის მოთხოვნილება განსაზღვრავს წარმოების დონეს, რომელიც თავის მხრივ განაპირობებს სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს. საქართველოში კერძო მფლობელობაში საწარმოები და ფირმები ეკონომიკურად იმდენად სუსტები არიან, რომ განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მსგავსად არ შეუძლიათ ფინანსურ საწყისებზე მყიდრო კავშირი იქონიონ მეცნიერებასთან. ვფიქრობთ, რომ ამის არც სურვილი აქვთ და ამჯობინებენ შუა ტექნოლოგიების და ტექნიკის საზღვარგარეთ შექენას. სამეცნიერო ორგანიზაციების დაფინანსება ძირითადად გრანტებით ხდება, მაგრამ იგი იმდენად მცირეა, რომ ხელფასებს და შენობა-ნაგებობების ხარჯებსაც ვერ ფარავს, ახალი ტექნოლოგიების შემუშავებასა და დანერგვაზე რომ არაფერი ვთქვათ. ამრიგად მთლიანად მოიშალა კავშირი მეცნიერებასა და წარმოებას შორის, რასაც ქვეყნისათვის სავალალო შედეგი უკვე მოჰყვა.

აღნიშნული მთლიანად შეესაბამება პოლიმერების სინთეზისა და გადამამუშავების დარგს. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ჩვენთვის ცნობილია სხვა ქვეყნის მეცნიერთა მიღწევები მეორადი პოლიეთილენის გადამამუშავების ტექნოლოგიაში [4, 5]. გარკვეული მუშაობა ჩატარებული და ამჟამადაც გრძელდება იგი ქუთაისის სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტში. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე შემუშავებული იქნა ტექნოლოგია, რომლის მიხედვით ხონის პოლიმერკონტინერის ქარხანაში ათვისებული იქნა მეორადი პოლიეთილენის გადამამუშავება და მისგან სადრენაჟე და სოფლის სავარგულების მორწყვისათვის საჭირო მიღების და შლანგების წარმოება. ამ ტექნოლოგიით ამჟამადაც მზადდება პროდუქციის გარკვეული რაოდენობა ხონის სს «კოდარაში» (ხონის ქარხანა პოლიმერკონტინერი). გრძელდება მუშაობა რათა მოხდეს ხმარებაში ყოფილი საგნებისაგან მიღებული მეორადი ნედლეულის ფიზიკური და ქიმიური მოდიფიცირება და იგი გახდეს გადამამუშავებადი.

ჩნდება შესაძლებლობანი, რათა შექმნილი იქნას სასურველი თვისებების მქონე ახალი პოლიმერული მასალები. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დაზუსტებულია პოლიეთილენის ფირის წარმოების ტექნოლოგია სამრეწველო ექსტრუდერებზე. ამ კვლევას საფუძველად დაედო ფირის წარმოების დროს ნაღობის ორმხრივი ჭივვისას ორიენტირებული მაკრომოლეკულების ზემოლექსულური წარმონაქმნების შენარჩუნება. ამავე დროს გარკვეული შედეგებია მიღებული ცივი ჭივვისას პოლიეთილენის ფირის ფიზიკო-მექანიკური თვისებების და სტრუქტურის გაუმჯობესების თვალსაზრისით. დამტკიცებულია, რომ ცივი ჭივით შეიძლება ფირის სიმტკიცითი მახასიათებლების მიზანმიმართული ცვლა.

აღნიშნული პრობლემის გადაჭრას უდაოდ მოჰყვება საქართველოს ბაზრის პოლიოლეფინების ნაკეთობებზე მოთხოვნილების ნაწილობრივი დაკმაყოფილება. მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება კი მომავლის პერსპექტივაა, როდესაც საქართველო რეალურად გახდება ნავთობის და გაზის მომპოვებელი ქვეყანა ან მათი ტრანსპორტირებიდან დაგვრჩება ისეთი რაოდენობა, რაც საშუალებას მოგვცემს აშენდეს პოლიოლეფინების მწარმოებელი ქარხნები.

ПОТРЕБНОСТЬ РЫНКА ГРУЗИИ В ПОЛИОЛЕФИНОВЫХ ИЗДЕЛИЯХ И ПУТИ ЕЕ УДОВЛЕТВОРЕНИЯ

Резюме

Опираясь на литературные источники и на потребность мирового рынка на полиолефин, ориентировочно установлена потребность в нем рынка Грузии в ближайшем будущем. Для частичного удовлетворения потребности намечена выработка вторичного сырья из использованных изделий и его целенаправленное модифицирование, а так же проведение существующих технологий таким образом, чтобы получить изделия с нужными физико-механическими свойствами. Высказано мнение о восстановлении связи между наукой и производством в этой отрасли.

I. BOCHOIDZE, Z. GACHECHILADZE, M. GACHECHILADZE

THE DEMAND OF THE GEORGIAN MARKET FOR POLYOLETIN PRODUCTS AND WAYS OF ITS SATISFACTION

Summary

Based on literary sources and on the demand of the world market for polyolefin, the need of the Georgian market for this product in the near future is approximately established. To satisfy partially these needs, manufacturing of secondary raw material out of the used products and its purposeful modification is envisaged as well as implementation of the existing technologies so as to obtain a product with the required physico-mechanical properties. Restoration of the links between science and production in this branch is suggested.

ლიტერატურა – ЛИТЕРАТУРА – REFERENCES

1. Поляков А. В., Бадаев В. К., Ефремова Р. С., Сидоренко Т. П. Состояние и перспективы развития промышленности полиолефинов. Пластические массы, 1990, №10, с.11-14.
2. Савина Е. А. Попова И. Н., Даниэль И. В. Пластические массы, 1990, №10, с.16-18.
3. Багинский В. А. Пластические массы. 1992. №11, с.34-36.
4. Шалацкая С. А., Михалева Н. М., Трузно М. С., Савицкая М. А. Пластические массы, 1986, №10, с.30-31.
5. Карнаухова А. И., Гузева А. И., Гусева А. Е., Пивоваров А. В. Пластические массы, 1991, №1, с.36-37.
6. Сборника материалов конференции "Качество полимерных материалов и изделий". Стандарты, стоимость, спрос. В.О. Ленинград: Рес-тэк, 2002, 120 с.



ЭКОЛОГИЯ

Б. Л. ГУДЖЕДЖИАНИ, М. А. КАРДАВА, Т. ГАНДРОНИКАШВИЛИ,
М. К. ГАМИСОНΙΑ, Н. Т. ХАЗАРАДЗЕ

К ЭФФЕКТУ ДЕЙСТВИЯ И ПОСЛЕДЕЙСТВИЯ ЦЕОЛИТСОДЕРЖАЩИХ ГОРНЫХ ПОРОД, МЕРГЕЛЯ И ИХ СМЕСЕЙ С ПТИЧЬИМ ПОМЕТОМ НА ПРОЦЕСС ВЫРАЩИВАНИЯ РАННЕГО КАРТОФЕЛЯ

Одним из интересных и полезных свойств природных цеолитов седиментационного происхождения при использовании их в растениеводстве, является положительное воздействие этих минералов на процесс развития и роста растений. При этом, в отличие от минеральных удобрений, это воздействие проявляется в течение ряда лет после их внесения в почву [1]. В некоторых случаях продолжительность такого воздействия достигает пяти лет и более [2]. Это явление носит название эффекта последействия или пролонгирования и имеет место для различных сельскохозяйственных культур, в том числе и картофеля.

В сравнительно старой работе [3] отмечено влияние последействия клиноптилолитсодержащего туфа Лютогского месторождения (Сахалин) на урожайность картофеля, которое равноценно воздействию минеральных удобрений. В более поздней работе [4] установлено, что эффект последействия на урожайность картофеля зависит также от типа почвы, в которую вносились клиноптилолитсодержащие туфы (Сокриницкое месторождение, Украина). Эксперимент проводился в вегетационных условиях. Найдено, что клиноптилолит, внесенный в песчаную и серолесную почву, оказал положительное влияние на урожайность картофеля, причем на серой лесной почве имеет место значительный эффект последействия: на третий год после внесения клиноптилолита прибавка урожая клубней картофеля по сравнению с урожайностью этой культуры на чистой почве (без удобрений) составила 24%.

Цель нашего исследования – выявить эффект последействия (2002-2003 годах) природных цеолитов и мергеля, а также их смесей с птичьим пометом, внесенных в почву на участках в 2000 г., где в 2001 г. была выращена кукуруза [5], которая, как известно, является хорошим предшественником для возделывания раннего картофеля [6].

Экспериментальная часть

Эксперимент проводится по схеме, использованной в работе [5], т. е. в десяти вариантах, каждый в четырех повторностях (в общей сложности 30 вариантов).

Первые два варианта служили объектами сравнения, чистая почва (абсолютный фон) – первый вариант; почва, в которую вносились минеральные удобрения из расчета $N_{83} P_{65} K_{70}$ кг/га (агротехническая норма, 360

принятая в нашей республике для выращивания картофеля) – второй вариант (контроль).



Остальные восемь вариантов были подразделены на две серии эксперимента, причем в соответствующие опытные участки дополнительно не вносились цеолитсодержащие породы, мергели, их смеси с птичьим пометом, т. е. исследовался эффект последствия этих материалов, внесенных в почву год тому назад (2000 г.), на рост и развитие картофеля.

Схема опыта

	Варианты	Клиноптилолит, т/га	Филлипсит, т/га	Мергель, т/га
1	Контроль I без удобрения	-	-	-
2	Контроль II с мин. удобрением	N ₈₀ , P ₆₀ , K ₃₀ , кг/га		Минеральные удобрения вносятся ежегодно
	для картофеля	N ₈₀ , P ₆₀ , K ₃₀ , кг/га		
Первая серия эксперимента				
3	Почва + Г. П.	5,0	5,0	5,0
4	Почва + Г. П.	10,0	10,0	10,0
5	Почва + Г. П.	15,0	15,0	15,0
6	Почва + Г. П.	20,0	20,0	20,0
Вторая серия эксперимента				
7	Почва + Г. П. + П. П.	10,0	10,0	10,0
8	Почва + Г. П. + П. П.	20,0	20,0	20,0
9	Почва + Г. П. + П. П.	30,0	30,0	30,0
10	Почва + Г. П. + П. П.	40,0	40,0	40,0

Примечание: Г. П. – горная порода; П. П. – птичий помет; Г. П. + П. П. – смесь вышеприведенных горных пород с птичьим пометом в соотношении 1:1.

В первой серии эксперимента, в делянки площадью 14 м², соответственно третьему – шестому варианту, был внесен только клиноптилолитсодержащий туф, филлипситсодержащая горная порода и мергель в количестве: 5, 10, 15, 20 т/га.

Во второй серии эксперимента (седьмой – десятый вариант) их смесь с птичьим пометом в пропорции 1:1, в количестве: 10, 20, 30 и 40 т/га.

Посев картофеля (*Solanum tuberosum*) сорта “Огонек” белый, средне-спелый осуществлялся внесением клубней картофеля в почву на глубину 8-10 см в количестве 50 штук на одну делянку. Размещение посадочного материала - широкорядное, с площадью питания 70x40 см. Орошение естественное. Опыты проводились в полевых условиях, в фермерском хозяйстве кооператива “Чкадуаши” (Зугдидский район, Грузия) на тех же делянках, на которых проводился эксперимент по выращиванию кукурузы в 2001 г. [5]. Следует отметить, что для выращивания картофеля наиболее благоприятны легкие по механическому составу почвы с высоким уровнем плодородия, с хорошо выраженной аэрацией [6]. Кроме того, картофель отличается повышенными требованиями к элементам питания. Почва участков, на которых производился эксперимент, в основном, представляла собой краснозем с высокой кислотностью (рН 4-5), который отличается низкой плодородностью вследствие незначительного содержания питательных элементов и, следовательно, мало пригодна для выращивания картофеля.



Эксперимент выполняется в сменном севообороте: картофель – кукуруза. В декабре месяце 2000 года, в соответствующие делянки внесены минеральные удобрения и вышеуказанные горные породы и также их смеси с птичьим пометом. Первоначальный посев клубней картофеля осуществляется 19.02.2001 г., сбор урожая клубней имеет место 14.07. 2001 г. Затем в том же году на этих участках была выращена кукуруза. В 2002 и 2003 годах эта операция была повторена в вышеуказанной последовательности, причем в почву только второго варианта вносились ежегодно минеральные удобрения, иными словами, изучался эффект последствия природных цеолитов, мергеля и их смесей с птичьим пометом на урожайность раннего картофеля. Соответственно посев и сбор урожая картофеля по годам производился: 10.02-15.07.2002 г. и 12.02-17.07.2003 г.

В период проведения полевых опытов наименьшая температура была 4,9⁰С, наивысшая – 22,7⁰С, среднегодовая 13,6⁰С.

Результаты и их обсуждение

В настоящей работе рассмотрены только два вопроса: изменение урожайности клубней картофеля в зависимости от характера горной породы и количества удобрений, приготовленных на их основе; а также изменение некоторых биометрических показателей клубней картофеля под воздействием вышеприведенных факторов (таблицы 1-4).

Таблица 1

Эффект действия (2001 г.) и последствия (2002-2003 гг.) клинцитилитосодержащего туфа и его смеси с птичьим пометом на урожайность клубней раннего картофеля в ц/га (средней за 3 года)

Варианты	2001 г.			2002 г.			2003 г.			Средняя за 3 года		
	Урожайность			Урожайность			Урожайность			Урожайность		
	ц/га	%	%	ц/га	%	%	ц/га	%	%	ц/га	%	%
1	103,2	-	-19,4	102,0	-	-21,8	100,7	-	-22,2	102,0	-	-21,1
2	128,1	24,1	-	130,4	27,8	-	129,5	28,6	-	129,3	26,8	-
Первая серия эксперимента												
3	118,0	14,3	-7,9	117,9	15,6	-9,6	108,5	7,7	-16,2	114,8	12,5	-11,2
4	122,1	18,3	-4,7	119,7	17,4	-7,7	113,0	12,2	-12,7	118,3	16,0	-8,5
5	120,3	16,6	-6,1	150,3	47,1	15,3	100,9	0,2	-22,1	123,8	21,4	-4,3
6	119,6	12,9	-6,6	160,0	56,9	22,7	108,7	7,9	-16,1	129,4	26,9	0,1
Вторая серия эксперимента												
7	129,6	22,7	-1,2	130,4	27,8	0,0	128,5	27,6	-0,8	129,5	27,0	0,2
8	131,7	27,6	2,8	139,3	36,6	6,8	129,5	28,6	0,0	133,5	30,9	3,2
9	133,3	29,2	4,1	146,5	43,6	12,3	130,9	30,0	1,1	136,9	34,2	5,9
10	135,6	31,4	5,9	166,1	62,8	27,4	129,5	28,6	0,0	143,7	40,9	11,1
~	НСР ₀₅ = 6,2 ц/га; S ₀₅ = 2,3			НСР ₀₅ = 8 ц/га; S ₀₅ = 2,8			НСР ₀₅ = 5,6 ц/га; S ₀₅ = 2,1			НСР ₀₅ = 6,6 ц/га; S ₀₅ = 2,4		

Эффект действия (2001 г.) и последствия (2002-2003 гг.) филлипситсодержащего туфа и его смеси с птичьим пометом на урожайность клубней раннего картофеля в ц/га (средней за 3 года)

Варианты	2001 г.			2002 г.			2003 г.			Средняя за 3 года		
	Урожайность	СИУ		Урожайность	СИУ		Урожайность	СИУ		Урожайность	СИУ	
